საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4762
25/08/2022

4762-21-2-202208251513

შპს „ფერის“
მის: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. N8
ელ. ფოსტა: n.goguadze@peri.ge

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3760 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მდ. სამყურისწყალზე 27 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „სამყურისწყალი 2 ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია 10 მ სიმაღლის ბეტონის წყალსაშვიანი კაშხლის ნაცვლად 0,5 მ სიმაღლის ტიროლის ტიპის, ბეტონის დაბალდაწნევიანი სათავე ნაგებობის მოწყობა. ცვლილებების შესაბამისად, სათავე ნაგებობის კონსტრუქციიდან გამომდინარე, ზედა ბიეფში მოეწყობა მხოლოდ მცირე შეგუბება. დაზუსტებას საჭიროებს შეგუბებული წყლის მოცულობა და სარკის ზედაპირის ფართობი;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო ბანაკის საწარმოო წყლით მომარაგება მოხდება ,,ხადორი 2 ჰესის“ არსებული სადაწნეო მილსადენიდან. როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 3 თებერვალს გაცემული ბრძანებით (N2-102) ძალადაკარგულად გამოცხადდა შპს „ფერის“ მცირე სიმძლავრის „ხადორი ჰესი 2“-ზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, აღნიშნულ ჰესზე სააგენტოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო ბანაკის საწარმოო წყლით მომარაგების საკითხი;

- დოკუმენტში მოცემული არ არის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის ეფექტურობის (ჩაშვებულ წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებები და მათი კონცენტრაცია) შესახებ ინფორმაცია;
- აღწერილი უნდა იყოს დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული თითოეული ინფრასტრუქტურული ობიექტის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები;
- დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ ინფორმაცია, ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენებისა (სახეობები და რაოდენობა) და შემდგომი მართვის საკითხი;
- სამშენებლო ბანაკიდან დაახლოებით 5-7 მეტრში მდებარეობს 10 კვ-იანი ეგხ. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის საკითხი და მესაკუთრესთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს იქთიოფაუნაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე მონიტორინგთან დაკავშირებით ინფორმაცია;
- წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ნაპირსამაგრი ნაგებობა კვეთს სანაყაროს ტერიტორიას, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სანაყაროს ტერიტორიაზე წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება და დასაწყობდება მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 50.25.33.435). აღნიშნული საკადასტრო ერთეული წარმოადგენს საპროექტო სანაყაროს ტერიტორიას, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დროებითი განთავსების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო